პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 224 (4474)

1971 წ. 10 ნოემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა
ხალხმა და
მთელი მსოფლიოს
პროგრესულმა
საზოგადოებრიობამ
ზეიმით
აღნიშნეს
დიდი
ოქტომბრის
სოციალისტური
რევოლუციის
54-ე
წლისთავი!

მთავარი პრიზები — საბჭოთა ავტომრბოლელებს

საერთაშორისო რალი „ევროპის ტური" საბჭოთა ავტომრბოლელთა დიდი წარმატებით აღინიშნა. მათ გუნდურ ჩათვლაში მთავარი პრიზები — ოქროსა და ვერცხლის თასები დაისაკუთრეს. მათ შორის იყო „ჟიგულის" ეკიპაჟი — კ. გირდაუსკასი და უ. მადრევიცი, რომელთაც პირად ჩათვლაში II ადგილი დაიკავეს.

• • •

სურათებზე: საბჭოთა მანქანა „ჟიგული" სტარტს იღებს მოსკოვ—ბუდაპეშტის ეტაპზე; საერთაშორისო ავტორალის მონაწილეები მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაზე; კ. გირდაუსკასი (მარცხნივ) და უ. მადრევიცი თავიანთ მანქანასთან.

დ. დებაბოვისა და ბ. კორშინის ფოტოები. (საქდესი და ახალი ამბების სააგენტო).

სოხუმში ამას წინათ ჩატარდა სსრ კავშირის პირველობა ქალთა შორის 25 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში. ქვეყნის ჩემპიონის სახელი კემეროვოელმა ველოსიპედისტმა ნ. კარატაევამ (სურათზე) დაისაკუთრა.

ი. ქოხონელიძის ფოტო. (საქდესი).

ჩვენი მომავალი ჩემპიონები

- 22-ე სკოლის საკუთრება
- ყველაზე უმცროსია მეხუთეკლასელი...

[illegible]

მოსწავლეებისთვის

ტაჯიკეთის დედაქალაქის სპორტულ ნაგებობებს მძლეოსნური კომპლექსი შეემატა. ახალ ბაზას აქვს შესანიშნავი სარბენი ბილიკები, ხტომის, შუბის, ბადროს, უროს ტყორცნის სექტორები, დამხმარე ნაგებობები.

პირველნი კომპლექსს მოსწავლეები ესტუმრნენ. ისინი არიან მისი ბატონ-პატრონები. ახალი ბაზა ქალაქის 22-ე სკოლის ბავშვების საკუთრებაა. ისინი მშენებლობაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

სკოლას კარგი სპორტული ტრადიციები აქვს. აქ რესპუბლიკის ბევრი მოწინავე სპორტსმენი აღიზარდა. უფროსი კლასების ყველა მოსწავლე მშთ და „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად" კომპლექსების ნიშნოსანია.

დუშანბე.

პატარა ხომალდების დიდი ასპარეზი

შორეულ აღმოსავლეთში გემსამოდელო სპორტის ცენტრად ვლადივოსტოკი იქცა. შორეული აღმოსავლეთის უმაღლესი საზღვაო-საინჟინრო სასწავლებლის გემის მოწყობილობის კათედრის მასწავლებელ ვ. სუბოტინის ხელმძღვანელობით აქ შექმნილია ლაბორატორია, სადაც იქმნება საბჭოთა კავშირში და ევროპაში ყველაზე ჩქაროსნული გემის მოდელები. თვად სუბოტინი ევროპის რეკორდსმენია ჩქაროსნული საკორდო მოდელების კლასში 10 კბ სმ-მდე ძრავის მოცულობით. სასწავლებლის მუზეუმში ინახება მის მიერ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებული მედლები. მალე მათ დაემატება წლეულს ბელგიაში მოპოვებული „ოქროს ლუზაც".

გამოცდილ ოსტატს ნიჭიერი მოწაფეები ჰყავს. ლაბორატორიაში ოცზე მეტი კაცი მეცადინეობს. უმთავრესად ესენი არიან შორეული აღმოსავლეთის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გემმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მომეცადინეთა შორის ყველაზე უმცროსია მეხუთეკლასელი მ. ხოლოშა.

პატარა ლაბორატორიაში მემოდელეები ასრულებენ ტექნიკურ დავალებებს, ზრდიან თავიანთი მცირე „ფლოტის" სისწრაფესა და მანევრულობას. ვ. სუბოტინსა და მის ამხანაგებს უამრავი საზრუნავი აქვთ — ძალიან ცოტაა სრულყოფილი აპარატურა მოდელების მართვისთვის, ლაბორატორიაც გაფართოებას მოითხოვს: გემსამოდელო სპორტში მეცადინეობის მსურველი ბევრია.

ამასთან, წინაა ახალი სტარტები საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრებებში.

ვ. კლიმენტიევი.

ვლადივოსტოკი.

დღეს ნომერში:

საბჭოთა მოჭადრაკეები საგრძნობლად დაწინაურდნენ 1-ლი გვ.
მილიციელი სპორტსმენების კარგი საქმეები მე-2 გვ.
სამი მუშკეტერი მე-3 გვ.
ჯონ სალივანიდან ჯო ფრეზერამდე მე-4 გვ.

ახალი ამბები

● **ოსლო, 8 ნოემბერი.** სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა — ჩოგბურთელებმა ა. მალეევმა და ანტონინა კოშელმა ტანმოვარჯიშეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში „ბერგენის თასი" მოიპოვეს. მალეევმა მრავალჭიდში 55,10 ქულა დააგროვა, ხოლო კოშელმა — 37,30. II ადგილებზე გავიდნენ ნორვეგიის ჩემპიონები ა. სტორჰაუგი (55,0 ქულა) და უ. ჰოლტენი (37,30).

● **ერევანი, 8 ნოემბერი.** სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ტრადიციულ ტურნირში მასპინძლები ორი ტურის შემდეგ საგრძნობლად დაწინაურდნენ — 13,5:4,5. მათ 9 პარტია მოიგეს, ამდენივე ყაიმით დაასრულეს და არც ერთი არ წაუგიათ. გადადებული პარტიების დამთავრებისას რომანიშინმა სწრაფად დაამარცხა რადულოვიჩი, კუზმინმა 49-ე სვლაზე მოუგო მატანოვიჩს, ბელიავსკიმ — მარიანოვიჩს. I ტურიდან გადადებულ პარტიებში შტეინმა დაამარცხა მინიჩი, კორჩნოიმ — პარმა (პირველი ტურის ანგარიშია 6,5:2,5).

● **პერვოურალსკი, 8 ნოემბერი.** ბურთიანი ჰოკეის უმაღლესი ლიგის 6 გუნდის აქ გამართულ ამხანაგურ ტურნირში ყველას აჯობეს ალმაათის დინამოელებმა: მათ პირველებმა დაისაკუთრეს „ურალის თასი". II ადგილზე გავიდა არხანგელსკის „ვოდნიკი", III — სვერდლოვსკის ასკ.

● **ნოვი სადი, 8 ნოემბერი.** აქ დამთავრდა იუგოსლავიის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. დიდ წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის ქალთა გუნდმა, რომელმაც ფინალურ მატჩში ანგარიშით 3:2 დაამარცხა ჩინეთის ნაკრები. ამრიგად, საბჭოთა სპორტსმენებმა რევანში აიღეს მსოფლიო ჩემპიონატში (ნაგოია) ჩინელებთან წაგებისთვის. სსრ კავშირის გუნდში გამოდიოდნენ ს. ფიოდოროვა (გრინბერგი) და ა. გედრაიტიტე. ამ სპორტსმენმა ქალებმა ოქროს მეორე მედალი წყვილთა შეხვედრებში დაიმსახურეს.

ახალი ამბები

რაიონებში [illegible]

ზუგდიდი

აქ მოეწყო სახალხო განათლების მუშაკთა 20-კაციანი ტურნირი ჭადრაკის ელვისებურ თამაშში, რომელიც მასწავლებლის დღეს მიეძღვნა. I-II ადგილები გაიყვეს ხ. ალმასიამ (ცაიშის საშუალო სკოლა) და ვ. ქირიამ (დიდინეძის საშუალო სკოლა). III ადგილი ხვდა პენსიონერ მასწავლებელს ვ. შანავას.

• • •

აქ დამთავრდა V საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ხელბურთელ, კალათბურთელ და ღრენბურთელ გოგონათა გუნდებს შორის. სამივე სახეობაში გაიმარჯვეს მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ა. ფიფია.

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

სამძებროს ინსპექტორი

— სწრაფად, ციალა, უფრო სწრაფად! — შეძახილით ამხნევებდა მილიციის ფორმაში გამოწყობილი ახოვანი, ჩასხმული კაცი მოცურავეს, რომელიც გამარჯვებასთან სულ ახლოს იყო. როცა გამარჯვებული გამოაცხადეს, იგი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი ციალა სიხარულიძე აღმოჩნდა. კაცს, რომელიც ქალიშვილს ამხნევებდა, სპორტის საპატიო ოსტატის ნიშანი უმშვენებდა მკერდს. ეს გახლდათ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ინსპექტორი, ახლო წარსულში კარგი მოჭიდავე ავთანდილ სიხარულიძე, რომელიც შვილის პირველი წარმატებით იყო გახარებული.

სურათზე: ა. სიხარულიძე.

ავთანდილმაც ასევე წარმატებით გადადგა პირველი ნაბიჯები სპორტში: თხუთმეტი წლისამ დაიწყო ვარჯიში საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან ვ. იორდანიშვილთან. მწვრთნელისა და მოწაფის დაუღალავმა შრომამ ერთი წლის შემდეგ ნაყოფი გამოიღო — ავთანდილი ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. წარმატებას წარმატება მოჰყვა და 1947 წელს მოსკოვში გამართულ პირველ საკავშირო პირად-გუნდურ ასპარეზობაში სიხარულიძემ ჭაბუკთა შორის კლასიკურ ჭიდაობაში III საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო 1948 წელს მეორე პრიზიორი გახდა. ერთი წლის მერე მან საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ქვემძიმე წონაში. ამას გარდა, ბევრჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი.

სპორტსმენები — წესრიგის სადარაჯოზე

სიხარულიძემ თავისი ჯილდოების კოლექციას თავისუფალ ჭიდაობაში მოპოვებული მედლები და დიპლომებიც მიუმატა.

... 1954 წელს ავთანდილმა პირველად სცადა ძალა თავისუფალ ჭიდაობაში. ეს იყო ლენინგრადის საკავშირო, პირველობაში, სადაც ფინალში გოგი სხირტლაძესთან დამარცხდა და III ადგილი დაიკავა. ავთანდილი იყო უნივერსიადის, „დინამოს", „შრომითი რეზერვების", „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოების ჩემპიონი.

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ავთანდილმა უნივერსიტეტი დაამთავრა და ცხოვრების დიდ გზაზე გავიდა. უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა ახლა პრაქტიკულად უნდა გამოეყენებინა და მანაც მეტად რთული, ხიფათით სავსე გზა — კვალის მაძიებლობა აირჩია.

სიხარულიძემ ორ წლიწადს იმსახურა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საგამომძიებლო ქვეგანყოფილების გამომძიებლად, 1965 წლიდან კი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში ინსპექტორად მუშაობს. აქ სამსახურის დაწყებიდან მან თხუთმეტი სისხლის სამართლის დამნაშავე (ხუთი საკავშირო ძებნილი) დააკავა.

— რომელი დამნაშავის შეპყრობა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— საშიში ბოროტმოქმედის ნიკოლოზ სტეფანოვისა, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა და მიიმალა...

თავზეხელაღებული სტეფანოვის დანამ იმსხვერპლა სიცოცხლითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ჭაბუკი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ფარიკაობაში, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის კანდიდატი ახალგაზრდათა შორის, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი ავთანდილ ლორთქიფანიძე.

ბოროტმოქმედი მართლმსაჯულებას თითქმის ხუთ წელიწადს ემალებოდა (ამაში ბოროტმოქმედს მშობლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ), მაგრამ წლეულს სიხარულიძემ საკავშირო ძებნილი ნ. სტეფანოვი თავისივე ბინაში მოხერხებულად შეიპყრო.

მართლმსაჯულებამ მკვლელს და მის მფარველებს საკადრისი მიუზღო.

ამ საშიში ბოროტმოქმედის დაკავების დროს გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისთვის ა. სიხარულიძეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ მადლობა გამოუცხადა.

სიხარულიძემ კარგად იცის, მაძებრისთვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტს. სწორედ ამიტომ გააგრძელა მან სწავლა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, რომელიც წლეულს დაამთავრა.

ვ. ქობელაშვილი.

• • •

კურსანტები ფიზიკურადაც იწრთობიან

თბილისის მილიციის სკოლაში კურსანტებს სწავლისა და ფიზიკური მომზადებისთვის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. მათს განკარგულებაშია მეთოდური კაბინეტები, სასწავლო ოთახები, სპორტული დარბაზი, კალათბურთისა, და ფრენბურთის მოედნები, სასროლეთი...

ეს სასწავლებელი ერთ-ერთი მოწინავეა „დინამოს" იმ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, რომელთა წევრებიც ფხიზლად დგანან სახალხო დოვლათის სადარაჯოზე, მთელ ძალ-ღონეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას ახმარენ.

მომავალ ოფიცერთა ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას სკოლაში ხელმძღვანელობს ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო, რომლის თავმჯდომარეცაა სკოლის უფროსი, პოლკოვნიკი ს. სანადირაძე.

სკოლაში სპორტის ბევრი სახეობის სექციაა შექმნილი. მათ ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორ-მწვრთნელები, რომელთა საქმიანობასაც უნარიანად უძღვება ფიზაღზრდის მასწავლებელი, მილიციის მაიორი ვ. ნახაპეტოვი.

ფიზკულტურული კოლექტივის წევრებს რაიონულ, საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში ბევრი გამარჯვება მოუპოვებიათ. მარტო ის რად ღირს, რომ კურსანტები ბოლო ხუთი წელია „დინამოს" საქალაქო სპარტაკიადის უცვლელი ჩემპიონები არიან.

წლეულს „დინამოს" საიუბილეო სპარტაკიადაში, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვან იუბილესა და საბჭოთა საქართველოს მილიციის 50 წლისთავს მიეძღვნა, ამ სკოლის სპორტსმენებმა თავიანთი სიძლიერე კიდევ ერთხელ დაამტკიცეს — კვლავ მოიპოვეს სპარტაკიადის ჩემპიონობა. კურსანტებმა I ადგილები დაისაკუთრეს სამბოში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ტყვიის სროლაში, II ადგილები ხვდათ ჭადრაკში, ტანვარჯიშში და სამხედრო სამჭიდში, ცურვასა და მაგიდის ჩოგბურთში III ადგილები დაიკავეს, კალათბურთში — IV. სკოლაში განსაკუთრებით პოპულარულია სამბო და პისტოლეტით ტყვიის სროლა, — მილიციის თანამშრომელი ამ სახეობებს ზედმიწევნით უნდა ფლობდეს.

ახლახან სარატოვში დამთავრდა მილიციის სკოლების საკავშირო ზონალური პირველობები სამბოში და ტყვიის სროლაში. თბილისის მილიციის სკოლის სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში III საპრიზო ადგილები დაიკავეს და საკავშირო ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

სამბისტთა პირად პირველობაში იმარჯვეს მეორეკურსელმა მსუბუქი წონის მოჭიდავემ რ. თვარაძემ, პირველკურსელებმა — პირველი ქვესაშუალო წონის ათლეტმა ვ. ბეროშვილმა და მძიმე წონის სპორტის ოსტატმა ჯ. ნიჟარაძემ. ტყვიის სროლაში თავი ისახელეს კურსანტებმა ვ. მარგიშვილმა, რ. ლუკავამ და ჯ. ბროლაშვილმა.

ახლა მილიციის სკოლაში მიმდინარეობს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 54-ე წლისთავსა და საბჭოთა მილიციის დღეს ეძღვნება.

სპარტაკიადის პროგრამაშია შვიდი სახეობა: სამბო, ტყვიის სროლა, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი. საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორეკურსელები დაწინაურდნენ.

ვ. ნარეკლიშვილი.

სსრ კავშირის პირველობა

ფაქტები, გოლები, ავტორები

საკავშირო პირველობა დასასრულს უახლოვდება. კიდევ რამდენიმე შეხვედრა და XXXIII ჩემპიონატის ცხრილი საბოლოოდ შეივსება.

„ზარია" — „ტორპედო" 1:0. 6 ნოემბერი. გათამაშების პირველ ხუთეულში მოხვედრისთვის მეტოქეებს დაახლოებით თანაბარი შანსები ჰქონდათ, ამიტომ მატჩმა უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. ვოროშილოვგრადელმა ფეხბურთელებმა შეძლეს 2 ქულის აღება. „ტორპედოს" კარში ბურთი გაიტანა ელისეევმა.

„არარატი" — „დინამო" (მოსკოვი) 2:0. 8 ნოემბერი. მატჩმა საბოლოო კორექტივები შეიტანა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების განაწილების საკითხში. ერევნელებს ფაქტიურად ფრეც ხელს აძლევდათ საპატიო II ადგილზე გასვლისთვის, მაგრამ მათ ძლიერად ითამაშეს, გაიმარჯვეს და ვერცხლის მედლები გაინაღდეს. ანგარიში გახსნა მარქაროვმა, ხოლო მეორე გოლის ავტორი იყო კაზარიანი. ამ წაგებით მოსკოვის „დინამომ" III ადგილზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა.

ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო" (კიევი) 2:1. 8 ნოემბერი. გასაგებია ის უდიდესი ბრძოლისუნარიანობა და ენერგია, რომელსაც როსტოველთა გუნდი იჩენს დარჩენილ მატჩებში. გუნდი თანდათან თავს აღწევს ერთ-ერთ ბოლო ადგილზე დარჩენის საფრთხეს და კვლავ უმაღლეს ლიგაში თამაშის პერსპექტივას იქმნის. სამაგიეროდ, კიევის „დინამო", რომელმაც კარგა ხნის წინ გაინაღდა ჩემპიონობა, ვეღარაა უწინდებურად მობილიზებული. ჩურკინისა და ჩიხლაძის მიერ გატანილმა გოლებმა არმიელებს მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა. კიეველთა მხრივ საპასუხო ბურთის ავტორი იყო კოლოტოვი.

„სპარტაკი" — „ყაირატი" 2:1. 8 ნოემბერი. ამ მატჩში მალე დაწინაურდნენ ალმაათელები (დოლმატოვი), მერე თანაფარდობა აღადგინა ლოგოფეტმა (11-მეტრიანით), ხოლო რედინმა მატჩის დასასრულს შეძლო თავისი გუნდის დაწინაურება.

• • •

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას მეთაურობს ერევნელი ე. მარქაროვი (14 გოლი). მისი უახლოესი კონკურენტია მინსკელი ე. მალოფეევი (11).

თბილისის „დინამო" — ბრინჯაოს პრიზიორი

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	30	17	10	3	41—17	44
„არარატი" (ერევანი)	30	13	11	6	37—28	37
„დინამო" (თბილისი)	29	13	8	8	30—33	34
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	30	11	11	8	29—23	33
„სპარტაკი" (მოსკოვი)	29	9	13	7	35—28	31
„დინამო" (მოსკოვი)	29	9	12	8	34—21	30
„ყაირატი" (ალმა-ათა)	30	9	10	11	36—40	28
„ტორპედო" (მოსკოვი)	29	4	19	6	24—24	27
„ნევთჩი" (ბაქო)	28	9	9	10	29—31	27
„კარპატი" (ლვოვი)	29	5	17	7	28—33	27
„ზენიტი" (ლენინგრადი)	30	8	10	12	29—32	26
„დინამო" (მინსკი)	28	8	10	10	30—37	26
ცსკა	29	7	11	11	32—34	25
ასკ (დონის როსტოვი)	29	9	7	13	32—40	25
„შახტიორი" (დონეცკი)	30	10	4	16	31—37	24
„ფახთაქორი" (ტაშკენტი)	29	7	10	12	27—46	24

I ლიგა

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	42	27	9	6	83—30	63
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	42	25	12	5	81—33	62
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	42	21	11	10	56—33	53
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	42	16	14	12	51—39	46
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	42	19	7	16	52—57	45
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	42	17	9	16	54—41	43
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	42	14	15	13	45—43	43
„მეტალისტი" (ხარკოვი)	42	18	7	17	50—49	43
„შახტიორი" (ყარაგანდა)	42	14	13	15	46—47	41
„დინამო" (ლენინგრადი)	42	14	12	16	35—40	40
„ტორპედო" (ქუთაისი)	42	12	15	15	47—53	39
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	42	13	13	16	34—40	39
„სტროიტელი" (აშხაბადი)	42	16	7	19	53—62	39
„შინიკი" (იაროსლავლი)	42	16	7	19	42—52	39
„პამირი" (დუშანბე)	42	16	7	19	42—54	39
„ალგა" (ფრუნზე)	42	13	12	17	45—52	38
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	42	12	14	16	35—42	38
„კუზბასი" (კემეროვო)	42	14	10	18	49—57	38
„დაუგავა" (რიგა)	42	10	16	16	23—34	36
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	42	9	17	16	30—45	35
„ვოლგარი" (ასტრახანი)	42	8	18	16	34—58	34
„რუბინი" (ყაზანი)	42	9	13	20	31—57	31

ქალებს ამოწმებს

ეშერის „დინამოს" სასროლეთზე ჩატარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკთა პირად-გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები, რომელთა შემადგენლობაში 7-7 სპორტსმენი გამოდიოდა.

ოთხდღიანი ასპარეზობის შემდეგ გუნდური I ადგილი თბილისის კოლექტივმა დაისაკუთრა. II ადგილზე არიან აფხაზეთის, III — აჭარის წარმომადგენლები.

პირად შეჯიბრებაში 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლით I ადგილი დაიკავა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ლ. ოსტრიკოვმა. ქალთა შორის ამავე ვარჯიშში ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ლ. ალიხანოვა (სოხუმი).

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში გაიმარჯვა თბილისის გუნდმა. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ოსტრიკოვმა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე 60 გასროლით ვაჟთა შორის ყველაზე მეტი ქულა დააგროვა სპორტის ოსტატმა ო. კვირიკაშვილმა (თბილისი). ქალები ამავე იარაღით 30 ტყვიას ისროდნენ. გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ო. გლაზუნოვამ (აჭარა).

საინტერესოდ წარიმართა პირად-გუნდური შეჯიბრება სასამსახურო პისტოლეტით 25 მეტრზე ვაჟებისთვის 30 და ქალებისთვის 20 გასროლაში. გუნდური I ადგილი თბილისის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

პირად ჩათვლაში თავი ისახელა სოხუმის მილიციის კაპიტანმა, მეორეთანრიგოსანმა გ. გურგენიანმა. ქალთა შორის პირველობა არავის დაუთმო ტ. ტერეხოვამ (სოხუმი).

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

დაველოდოთ იანვარს

ციურიხი. საფეხბურთო ასოციაციების ევროპულმა კავშირმა აქ მოაწყო კენჭისყრა უეფა-ს თასზე ასპარეზობის მესამე ეტაპის მონაწილე გუნდებს შორის. ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მეოთხედფინალებში მეტოქეთა ვინაობა მხოლოდ 12 იანვარს გაირკვევა. ორი დასახელებული ტურნირის, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის კენჭისყრა ამ დღეს მოეწყობა ვენაში. როგორც ცნობილია, თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლაში კვლავ მონაწილეობს მოსკოვის „დინამო", ხოლო ევროპის პირველობის მონაწილე რვა უძლიერეს კოლექტივს შორის სსრ კავშირის ნაკრებიც არის.

ფარიკაობის სიყვარული

ამ წერილში მსურს გაგაცნოთ სამი მუშკეტერი. როცა ქართული ფარიკაობის ვრცელი ისტორია დაიწერება, დარწმუნებული ვართ, ვერც ერთი ავტორი მათ გვერდს ვერ აუვლის.

ვინც 50-ან წლებში მოფარიკავეთა შეჯიბრებებს ესწრებოდა, უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას ორ ახოვან სპორტსმენს — ოთარ კიკალეიშვილსა და გურამ ჯაიანს. საფარიკაო სამყაროში ისინი საკმაოდ კოლორიტული ფიგურები იყვნენ არა მარტო სპორტული მანერით, არამედ პირადი კულტურითა და ინტელექტითაც.

ჩვენ, შედარებით ახალგაზრდა სპორტსმენები, ბევრ რამეს ვსწავლობდით მათგან. მაგალითად, ოთარი უაღრესად დახვეწილ ტექნიკას ფლობდა. ასეც ეძახდნენ მეგობრები — „ტექნიკოსი“. არავინ იცოდა, ვისგან სწავლობდა ფარიკაობის ზოგიერთ უნიკალურ ხერხს. ბევრი ამ ხერხთაგანი ჯერაც არ გამოსულა საფარიკაო მოდიდან. რა მსუბუქად, რა ძალდაუტანებლად მოძრაობდა ბილიკზე! ბრძოლის პროცესი მას თითქოს არც ღლიდა. ეს მართლაც ასე იყო, ვინაიდან მაღალტექნიკური სპორტსმენი მუდამ ნაკლებ ენერგიას ხარჯავს. ეგრეთ წოდებულ „ფაფხურა“ მოფარიკავეებს ვერ იტანდა, მონდომება სხვებზე ნაკლები არ ჰქონია, მაგრამ ზედმეტ, უსარგებლო მოძრაობას თავის დღეში არ გააკეთებდა. ბრძოლის კომპოზიცია წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული...

თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ოთარმა ბევრჯერ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი რაპირით ბრძოლაში, წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრებაში, წლების მანძილზე ითვლებოდა საბჭოთა ქვეყნის ნაკრები გუნდის კანდიდატადაც. ამ ხნის მანძილზე ოთარი რკინისებური ნებისყოფით ინარჩუნებდა ჩინებულ სპორტულ ფორმას. ეს შემთხვევით არ გვიხსენებია. სტაბილური, თუ გნებავთ, სერიოზული პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული სპორტსმენი განსაკუთრებით კარგად გამოდის გუნდურ შეჯიბრებებში. ოთარ კიკალეიშვილი საუკეთესო გუნდურ მებრძოლად ითვლებოდა. ვინ იცის, რამდენჯერ მოუტანია რესპუბლიკის ნაკრებისთვის ის ჰაერივით საჭირო ქულა, რომელსაც გამარჯვების სასწორი საბოლოოდ ჩვენს მხარეს გადმოუხრია. ასე იყო სსრ კავშირის ხალხთა I და II სპარტაკიადებში. ამ დიდ შეჯიბრებებში იგი თავისი უახლოესი მეგობრების იური ოსიპოვისა და გურამ ჯაიანის მხარდამხარ გამოდიოდა. მხოლოდ გუნდურ ბრძოლებში გაიგებ ნამდვილი მეგობრობის ფასს.

როცა ოთარი თავისი სპორტული ნიჭის სრული გაფურჩქვნის პერიოდში იყო, მე მხოლოდ ვიწყებდი ფარიკაობას. ჩემმა უფროსმა ძმამ გოგიმ ერთ-ერთ შეჯიბრებაზე მითხრა:

— კარგად დააკვირდი ამ ტანმაღალ მოფარიკავეს, დაიმახსოვრე, როგორ ტექნიკურად ფარიკაობს. მომავალში გამოგადგება...

პირველი შთაბეჭდილება მეტად ძლიერი იყო. იმ პერიოდში ქართულ ფარიკაობაში ბევრი მაღალტექნიკური სპორტსმენი გამოდიოდა, მაგრამ ოთარი მათს შორისაც გამოირჩეოდა.

მერე და მერე უფრო ვაკვირდებოდი ამ თავისებურ მოფარიკავეს. მხიბლავდა არა მარტო ოთარის სპორტული ნიჭი, არამედ ისიც, რომ ამ ადამიანში საოცრად ძლიერი სული იყო. თავს არავის დააჩაგვრინებდა, არც სხვას დაამცირებდა.

სულ სხვანაირი მოფარიკავე იყო გურამ ჯაიანი. არ ვიცი, მიუღწევია თუ არა რომელიმე ქართველ მოფარიკავეს 17 წლის ასაკში ისეთი თვალსაჩინო წარმატებისთვის, როგორიც გურამმა მოიპოვა: ნორჩი სპორტსმენი მოზრდილთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა დაშნით ბრძოლაში. რამდენიმე წლის შემდეგ გურამმა საბოლოოდ დაუკავშირა თავისი სპორტული გზა ფარიკაობის არანაკლებ ჭირვეულ იარაღს — რაპირას. კიკალეიშვილისგან განსხვავებით, იგი თამამად არღვევდა ბრძოლის აკადემიურ მანერას, გაბედულ პაექრობაში ებმებოდა და, საბედნიეროდ, უფრო ხშირად „მშრალად“ გამოდიოდა. ჯაიანს ვერ მიბაძავდი, — იგი ნაკლებად გამოდგებოდა „ქრესტომათიული“ ფარიკაობისთვის. სამაგიეროდ, გურამის შეხვედრები მნახველს დიდ სიამოვნებას განაცდევინებდა: აქ იყო დაუოკებელი აზარტი, ხალასი გამომგონებლობა, სწრაფი ტემპი... მეტი არც სჭირდება ფარიკაობის სანახაობითს მხარეს. ჩვენი ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გურამი შეგნებულად ილტვოდა ეფექტებისკენ ეფექტი ეფექტად და მის რაპირას აკადემიური სტილის მრავალი მოყვარული „გაუმწარებია“.

და მაინც, დაუდეგარი, მოუსვენარი ხასიათი გურამს ზოგჯერ ცუდ სამსახურსაც უწევდა. იგი არ ჰგავდა „ცივი გონებით“ დაჯილდოებულ სპორტსმენებს, რომლებმაც წინასწარ იციან, ვისთან მოიგონ, ვისთან წააგონ, რომ ნაკრებ გუნდში ადგილი გაინაღდონ. გურამს ასეთი „პრობლემები“ არ აწუხებდა. მისთვის მთავარი იყო თვით შეჯიბრების ატმოსფერო, მისი წმინდა სპორტული მხარე. თითოეულ შეხვედრაში, განურჩევლად იმისა, თუ ვისთან პაექრობდა, მთელ თავის მონდომებასა და ენერგიას აქსოვდა. მაგრამ დაძაბული, სატურნირო მდგომარეობისთვის ზოგჯერ უმნიშვნელო ბრძოლა მას იმდენად ღლიდა, რომ მომდევნო შეხვედრებში სრული ძალით ველარ მოქმედებდა. ამიტომ, როცა საქმე ნაკრებში მოხვედრაზე მიდგებოდა, გურამი მუდამ ბეწვის ხიდზე იდგა. მწვრთნელებმა იცოდნენ ჯაიანის ჭეშმარიტი შესაძლებლობანი და მისთვის ადგილი რესპუბლიკურ ნაკრებში მუდამ „დაჯავშნული“ ჰქონდათ. რა თქმა უნდა, გუნდში ამ საპატიო ადგილს გურამი შესარჩევი პაექრობების შემდეგ იკავებდა. ასეთი სიტუაცია მრავალგზის განმეორებულა და მოფარიკავეები ჯაიანს ხუმრობით შესარჩევი ტურნირის დიდოსტატს ეძახდნენ.

გურამ ჯაიანს საკავშირო სარბიელზე რაიმე განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ, მოფარიკავეთა ენაზე რომ ვთქვათ, იგი ყველა ძლიერი სპორტსმენისთვის „კერკეტი კაკალი“ იყო. სამაგიეროდ, მისი მეგობრის ოთარ კიკალეიშვილისა არ იყოს, ჯაიანი საუკეთესო გუნდური მებრძოლი გახლდათ, რაც მოწმობს მის შემართებაზე და მაღალ შეგნებაზე. სამწუხაროდ, გურამმა შედარებით ადრე დაანება თავი ფარიკაობას. მეგობრებში „მწიგნობრის“ სახელით ცნობილმა სპორტსმენმა ორი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, ამჟამად ნიჭიერი ინჟინრისა და ჟურნალისტის რეპუტაციით სარგებლობს.

ჩვენი წერილის მესამე გმირი თედო ზაუტაშვილი ქართული ფარიკაობის შედარებით ახალგაზრდა პლეადის წარმომადგენელია. იგი რამდენიმეჯერ შეხვედრია კიკალეიშვილსა და ჯაიანს, რომლებიც იმ დროისთვის სპორტულ კარიერას ამთავრებდნენ. ამ შეხვედრებს იმდენად ორთაბრძოლებს ვერ დავარქმევთ, რამდენადაც თავისებურ საფარიკაო გაკვეთილებს. მოწაფემ ღირსეულად მიიღო უფროსი თაობის წარმომადგენელთა ესტაფეტა. თედო სამართლიანად ითვლებოდა ნიჭიერ მოფარიკავედ. მისგან ბევრს მოელოდნენ. მართლაც, ათ წელზე მეტ ხანს თედო წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

საუკეთესო სპორტული მონაცემების მქონე მოფარიკავეს არ გასჭირვებია ადგილის მოპოვება „მზის ქვეშ“. ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ სხვადასხვა მასშტაბის ტურნირები, სადაც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მისი თანდაყოლილი ნიჭი. თედო ზაუტაშვილი განეკუთვნება იმ მოფარიკავეთა კატეგორიას, რომლებიც სწრაფად აღწევენ სასურველ შედეგს. სწორედ ამ უნარმა მისცა შესაძლებლობა თედოს ყოფილიყო არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ძლიერი მუშკეტერი. ჩვენ ერთი თაობის მოფარიკავეები ვართ, ჩემს თვალწინ გაიარა თედოს წინააღმდეგობებით აღსავსე სპორტულმა ბიოგრაფიამ. იგი პირველი იყო ჩვენს შორის, ვინც გაიკვლია გზა რესპუბლიკურ და საკავშირო ასპარეზზე; პირველი იყო ჩვენს შორის, რომელმაც შეძლო მიექცია ფარიკაობის სპეციალისტთა ყურადღება; პირველი იყო ჩვენს შორის, ვინც იზეიმა გამარჯვება ჭაბუკთა საკავშირო ასპარეზობაშიც. ამ წარმატებებმა თედოს საბჭოთა კავშირის ნაკრებისკენ გაუხსნა გზა...

და მაინც, ეს საუცხოო მონაცემებით დაჯილდოებული სპორტსმენი, რომელიც ამჟამად 30 წლისაა, ვერ ჩაითვლება სამაგალითოდ მოფარიკავეთა ახალი თაობისთვის. მიუხედავად დიდი სპორტული ნიჭისა, მან ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი შესაძლებლობანი. თედომ კარგად იცოდა თავისი ნაკლი — იგი ფიზიკურად შედარებით სუსტი იყო, მაგრამ ამ ნაკლის გამოსწორებისთვის თითქმის არ ზრუნავდა. გარდა ამისა, მისი აქილევსის ქუსლი მუდამ იყო ხასიათის ნაკლები სიმტკიცე. იგი ზედმეტად დაენდო საკუთარ თვითნაბად ნიჭს, რომელსაც გარკვეულ პერიოდში წარმატებები მოჰქონდა, მაგრამ თანამედროვე სპორტში ეს უპირატესობა უკვე საკმარისი აღარ არის.

და მაინც, როცა ბილიკზე თედო ზაუტაშვილი გამოდის, არ შეიძლება მისი ბრძოლის დახვეწილმა მანერამ დიდი კმაყოფილება არ მოგვგვაროს.

პატიოსანი, კარგი გაგებით პატივმოყვარე, ტექნიკური სპორტსმენის ბრძოლას გამოარჩევს ის, რასაც ჩვენ დახვეწილ საფარიკაო სკოლას ვეძახით.

... აი, ჩვენს თვალწინ ჩაიარა რაპირის სამი ოსტატის საინტერესო სპორტულმა ცხოვრებამ. მიუხედავად იმისა, რომ სამივე უაღრესად განსხვავებული სპორტული ფიგურაა, მათ მაინც აქვთ ერთი საერთო: ფარიკაობის უზომო სიყვარული, დაუღალავი ძიება, მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია არა მარტო ნამდვილი სპორტსმენი, არამედ, საზოგადოდ, ადამიანი.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

ჯერჯერობით VI ადგილზე

ლუცკში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა ზამთრის საკავშირო პირველობის პირველი წრე. ბოლო, მეშვიდე ტურის მატჩებიდან მოულოდნელი შედეგით დამთავრდა კრასნოდარის „უნივერსიტეტისა“ და ტაშკენტის „ბურევესტნიკის“ შეხვედრა. ტაშკენტელებმა, რომლებმაც მანამდე ერთი ქულაც ვერ აიღეს, შეუპოვარ ბრძოლაში შეძლეს ტურნირის ლიდერის დამარცხება — 18:17. „უნივერსიტეტმა“ ამ წაგების გამო სატურნირო ცხრილის პირველი სტრიქონიდან მესამეზე გადაინაცვლა.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ წააგო ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ — 12:13 (5:6). მოსკოვის „კუნცევომ“ დაამარცხა ცსკა — 19:14, ხოლო მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივმა — ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდი — 19:15.

ამით დამთავრდა პირველი წრის შეხვედრები. მეორე წრის მატჩები გაიმართება ტაშკენტში გაისად თებერვალში.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი)	7	5	0	2	150—115	10
„კუნცევო“ (მოსკოვი)	7	4	2	1	117—115	10
„უნივერსიტეტი“ (კრასნოდარი)	7	4	1	2	118—114	9
მეტალურგიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე)	7	3	2	2	124—109	8
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)	7	3	2	2	118—115	8
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	7	2	1	4	112—127	5
ცსკა	7	2	0	5	125—129	4
„ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი)	7	1	0	6	111—151	2

[illegible]

◆ გორი

დამთავრდა საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა გუნდური სპარტაკიადა ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში, რომელშიც 10 სკოლა მონაწილეობდა, ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა (გ. ყველაშვილი, რ. მჭედლიძე, ხ. ვანიშვილი, ი. ხაბელაშვილი, ნ. ხუბულური). მოშაშეთა ტურნირში 7 გუნდი მონაწილეობდა. ყველას აჯობა მე-11 საშუალო სკოლის კოლექტივმა (ი. და მ. ჯანაშვილები, ნ. ძორელაშვილი, ნ. ჩიბრაშვილი, მ. მაყაშვილი).

• • •

ადგილობრივ საჭადრაკო კლუბში საინტერესო ლექციის შემდეგ ოსტატობის კანდიდატმა შ. თოთლაძემ ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 15 დაფაზე. სეანსიორმა 12 შეხვედრა მოიგო და 3 წააგო — მოსწავლე მ. ჯინჯიხაშვილთან, მხატვარ მ. იოსებაშვილთან და მასწავლებელ ვ. ტურაშვილთან.

ო. დოლიძე,
პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.

ობიექტივში მსოფლიო

ამ სურათზე აღბეჭდილია ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის წინა გათამაშების ფინალური მატჩის მომენტი. ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი ჰადსონი ბურთისთვის ებრძვის მადრიდის „რეალის“ მოთამაშე ველასკესს.

„ასოშიეიტედ პრესის“ ფოტო.

• •

მონლერიში გამართული ათსაათიანი მოტორბოლა ცნობილ 7-კილომეტრიან ტრასაზე დილით ადრე დაიწყო. სტარტზე გამოვიდა 250 და 750 კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით 36 მხედრელი. ყოველ მოტოციკლზე ორი სპორტსმენი იჯდა, რომელთაგან თითოეულს შეუცვლელად სამ საათზე მეტი არ უნდა ეტარებინა მანქანა. რბოლაში ორი ქალიც მონაწილეობდა, რაც საკმაოდ იშვიათია საფრანგეთში. ისინი იყვნენ დელფინ ლერუა და დომინიკ ბოილონი. ლერუას (სურათზე) თანაგუნდელის მანქანა უკიდურეს (ბოილონი ლერუას პირდაპირ ტრასის მეორე მხარეზე ჩანს) — რამდენიმე წამში სტარტია!

„ფრანს პრესის“ ფოტო.

პროფესიული რინგის ვარსკვლავები

პატივცემულო რედაქცია! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მოგვითხროთ იმის შესახებ, თუ როდის დაიწყო ბრძოლა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის, ვინ იყვნენ ამ ტიტულის მფლობელები, სად ტარდებოდა შეხვედრები, რა პირობებში და სხვ.

რ. გულუა.

ქუთაისი.

პასუხი...

1882 წლის 7 თებერვალს მისისიპში გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა პირველი ოფიციალური მატჩი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის. ამ ისტორიულ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდა ორი ამერიკელი — ჯონ სალივენი და პედი რაიანი. 26 წლის „რკინის ჯონმა“ მე-9 რაუნდში ნოკაუტით სძლია მეტოქეს.

მაგრამ მაშინდელი კრივი საგრძნობლად განსხვავდებოდა სპორტის ამ ვაჟკაცურ და მიმზიდველ სახეობაზე ჩვენი დღევანდელი წარმოდგენისგან. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის მოკრივეებმა, უფრო სწორად კი პროფესიული კრივის პიონერებმა, არ იცოდნენ რა იყო ტყავის ხელთათმანები. იბრძოდნენ მუშტებით და, ცხადია, იმარჯვებდა ის, ვისაც უფრო მძლავრი მუშტი ჰქონდა (ტექნიკა ასეთ დროს უძლურია ძალის წინაშე). არ არსებობდა ბრძოლის წესებიც. შეხვედრა გრძელდებოდა რომელიმე მოკრივის აშკარა გამარჯვებამდე და ამიტომაც რაუნდების რაოდენობას წინასწარ არ განსაზღვრავდნენ.

სალივენის პირველი წარმატება იმდენად აშკარა და შთამბეჭდავი იყო, რომ უახლოესი სამი წლის მანძილზე ვერავინ გაბედა მასთან შებრძოლება. მხოლოდ 1883 წელს დაუდეგარმა რაიანმა ერთხელ კიდევ სცადა ბედი. ამაოდ — ათიოდე წუთის შემდეგ პოლიციამ შეწყვიტა ეს უთანასწორო ბრძოლა (ბრძოლის შეწყვეტის უფლება მაშინ მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდათ).

სალივენის ტახტი დიდხანს არავის შეუწუხებია. მხოლოდ ერთხელ ჯეკ კილრეინმა გაბედა დაუმარცხებელ ჩემპიონთან შერკინება. ახალი პრეტენდენტი მართლაც ზღაპრული ძალის ადამიანი იყო და რამდენიმე საათს ვაჟკაცურად უმკლავდებოდა „რკინის ჯონს“, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა. კვანძი გაიხსნა 75-ე (!) რაუნდში, როცა სალივენმა ღრმა ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე (სხვათა შორის, ამ მატჩის შემდეგ ტყავის ხელთათმანების ხმარება დაიწყეს).

სურათზე: მსოფლიოს პირველი აბსოლუტური ჩემპიონი კრივში, ამერიკელი ჯონ სალივენი.

მაგრამ ნეტარებაში ჩაფლული ჩემპიონის დღეებიც თურმე დათვლილი იყო. 1892 წლის 7 სექტემბერს ნიუ-ორლეანში „რკინის ჯონმა“ დაკარგა ტიტული. უძლეველი სალივენის მძლეველი გამოდგა მასზე 6 წლით ახალგაზრდა ჯეიმს კორბეტი, რომელმაც 21-ე რაუნდის მიწურულს უძლიერესი დარტყმით იატაკზე დასცა მეტოქე.

კორბეტის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული პროფესიული კრივის რამდენიმე ნათელი ფურცელი. მან პირველმა განაახლა და გადაახალისა წვრთნის მეთოდიკა — შემოიღო სავარჯიშო „მსხალი“. კორბეტმა წვრთნის პროცესში ჩართო სპორტის სხვა სახეობების ელემენტები, კერძოდ, მძლეოსნური ვარჯიშები. იგი მკაცრი სპორტული რეჟიმის დაცვის პიონერი იყო, რომელიც კატეგორიულად ილაშქრებდა ალკოჰოლისა და ნიკოტინის წინააღმდეგ.

კორბეტი, ისევე როგორც მისი წინამორბედნი, მძიმე წონის ატლეტი იყო. სხვა კატეგორიების მოკრივეებს აზრადაც არ მოსდიოდათ ამა ქვეყნის ძლიერთა დავაში ჩარევა. ერთადერთი თავზეხელაღებული, რომელმაც გაბედა და „ხელთათმანი გადაუგდო“ ფავორიტებს, რობერტ ფიტცსიმონსი იყო — საშუალო წონის მოკრივე, მან ეფექტურად მოიხვეჭა მსოფლიო ჩემპიონის წოდება თავის წონაში. ფიტცსიმონსის გამოწვევა ბევრმა სიგიჟედ მიიჩნია, მატჩის ორგანიზატორებმა კი თავდაპირველად იგი ფსიქიატრებს გაასინჯეს და მხოლოდ ამის შემდეგ დართეს ორთაბრძოლის ნება. ერთადერთი კაცი, ვინც მშვიდად გადაიტანა მატჩისწინა აჟიოტაჟი, თვით ფიტცსიმონსი იყო. იგი შეუპოვრად იდგა რინგზე, არაფერს უთმობდა მრისხანე მეტოქეს, მე-14 რაუნდში კი გამოიყენა სიახლე — უძლიერესი დარტყმა მარცხენით მზის წნულში და... კორბეტი ტიტულს გამოასალმა.

ფიტცსიმონსმა პროფესიულ რინგზე მხოლოდ ორ წელიწადს იმეფა (1897-1899), მერე კი იძულებული გახდა წოდება დაეთმო ჯეიმს ჯეფერისისთვის, რომელიც მსოფლიო ჩემპიონზე 30 წლით ახალგაზრდა და 25 კილოგრამით მძიმე იყო. ამ პერიოდიდან იწყება ლეგენდარული მოკრივის ბატონობა მძიმე წონაში. ჯეფერისს შვიდჯერ მოუხდა ოფიციალურად თავისი ტიტულის დაცვა. ვერც ფიტცსიმონსმა და ვერც სხვა პრეტენდენტებმა, რომელთა შორის იყვნენ გამოჩენილი მოკრივეები ტ. შარკი, ჯ. კორბეტი, გ. რელინი და ჯ. მონრო, ძვრა ვერ უყვეს უძლეველ ჩემპიონს. 1905 წელს მან დაუმარცხებელმა დატოვა რინგი.

სამი წლის შემდეგ კი მოხდა უჩვეულო ამბავი. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებას პირველად დაეპატრონა ზანგი ჯეკ ჯონსონი. რასისტული ამერიკისთვის ზანგი მოკრივის გამეფება მძიმე ნოკაუტი იყო. ჯონსონის წინააღმდეგ აღდგა თეთრი სამყარო, მაგრამ ჩემპიონი ულმობლად გაუსწორდა ყველა პრეტენდენტს. მას არ აშინებდა არც მუქარა და არც შეიარაღებული თავდასხმა. სასოწარკვეთილ მენეჯერებს ვერც ჯეფერისის რინგზე დაბრუნებამ უშველა.

ეს ბრძოლა გაიმართა ნევადაში 1910 წლის 4 ივლისს. მატჩისთვის სპეციალური სტადიონიც კი აშენდა, რომელმაც 20 ათასი მაყურებელი დაიტია, შეხვედრას დაესწრო ყველა იმდროინდელი ვარსკვლავი სალივენიდან მოყოლებული ბერნსამდე. მრავალრიცხოვან კორესპონდენტთა შორის იყო ახალგაზრდა ჯეკ ლონდონიც. ბრძოლის მსვლელობაში თეთრმა განგსტერებმა შავ ჩემპიონს რამდენიმეჯერ ესროლეს, მაგრამ ჯონსონი ამაყად იდგა რინგზე და შეხვედრა გამარჯვებამდე მიჰყავდა. მე-15 რაუნდში ჯეფერისი ნოკაუტში აღმოჩნდა და მატჩის გარშემო შექმნილი უჩვეულო აჟიოტაჟიც შეწყდა. ჯონსონმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

1919 წლიდან პროფესიულ კრივში იწყება ლეგენდარული ჯეკ დემპსის ერა, რომელმაც 1926 წლამდე გასტანა. მერე კი აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მეორე არანაკლებ პოპულარულმა ჯიმ ტუნეიმ დაისაკუთრა. 1928 წელს ტუნეიმ დაუმარცხებლად დასტოვა რინგი. მისი მემკვიდრეები ცოტა ხნით გერმანელი მაქს შმელინგი, ჯეკ შარკი და იტალიელი პრიმო კარნერა იყვნენ (ამ უკანასკნელს ფენომენალური ფიზიკური მონაცემები ჰქონდა: იწონიდა 125 კილოგრამს და ტანად 206 სმ იყო).

1937 წლიდან მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეთა სიას სათავეში ჩაუდგა ჯო ლუისი, რომელმაც 11 წლის მანძილზე 27-ჯერ დაიცვა თავისი ტიტული და 1948 წელს დაუმარცხებლად დატოვა რინგი. მართალია, ორი წლის შემდეგ იგი დაუბრუნდა სარბიელს, მაგრამ ეს უკვე სხვა ლუისი იყო — ტანჯული, წელში გატეხილი და გაკოტრებული. ცხადია, ლუისმა ვერ მოიდგა ფეხი ოლიმპზე და მალე მისი სახელი დავიწყებას მიეცა.

მომდევნო პერიოდის მოკრივეთა შორის ყველაზე ნათელი ფიგურაა იტალიური წარმოშობის ამერიკელი როკი მარჩიანო, რომელსაც სამი წლის მანძილზე არ ჰყავდა ცოტა თუ ბევრად ღირსეული მეტოქე. თავის ხანმოკლე სპორტულ ბიოგრაფიაში მარჩიანომ 49 ბრძოლა ჩაატარა და ყველა მოიგო, მათ შორის, 43 ნოკაუტით. 1956 წლისთვის მსოფლიოში არ იყო არავინ, ვისაც შეეძლო გამკლავებოდა მარჩიანოს, და ისიც გამოეთხოვა რინგს.

მარჩიანოს მემკვიდრეთაგან მეტნაკლებად პოპულარულნი იყვნენ ფლოიდ პატერსონი და სონი ლისტონი. მერე კი დადგა ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზერის ეპოქა.

ნ. ბუგუშვილი.

კრივი საკმაოდ პოპულარული თემაა ჩარლი ჩაპლინის ადრეულ ნაწარმოებებში. გენიალურ კინორეჟისორსა და მსახიობს ამ საკითხში კონსულტაციას უწევდა ჟორჟ კარპენტიერი. ამ სურათზე მათი ერთ-ერთი შეხვედრაა აღბეჭდილი.

● ●

სურათზე: პროფესიული კრივის სამი ამერიკელი ვარსკვლავი (მარცხნიდან) — ჯიმ ტუნეი, ჟორჟ კარპენტიერი (იგი მსოფლიო ჩემპიონი იყო, ოღონდ ქვემძიმე წონაში) და ჯეკ დემპსი.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

ბავშვები და სამთოსათხილამურო სპორტი

იმ გზებს შორის, რომლებიც ტაიგაში საიანი-შუშენსკოეს ჰიდროელსადგურის მშენებლებმა გაიყვანეს, ერთ-ერთი სპორტსმენებისთვისაა განკუთვნილი. იგი გადის ბაშტაკის მთის ფერდობებამდე, სადაც სპორტის მოყვარულებმა ოთხი სასეირნო და ერთი 1200-მეტრიანი (სიმაღლეთა სხვაობა 400 მ) სამთოსათხილამურო ტრასა გაიყვანეს.

საიანის ტრასა 100 მეტრით მაღალია ციმბირის ცნობილ — კრასნოიარსკისა და მეჟდურეჩენსკის ტრასებზე. აქ შეიძლება სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება სპეციალურ და გიგანტურ სლალომში.

ყოველ შაბათს ჰიდრომშენებლები და მაინის მოსწავლეები თავიანთი ზამთრის სპორტული კომპლექსის მშენებლობაზე გამოდიან სამუშაოდ. ამჟამად დგამენ ამწევს, აწყობენ განათებას, სათხილამურო ბაზასა და გაქირავების პუნქტებს.

დაბა მაინა.

კრასნოიარსკის მხარე.

თქვენთვის, ჰოკეისტებო!

ფაბრიკა „ტეგურმა“ საბჭოთა კავშირში პირველმა დაიწყო ბალახის ჰოკეის ბურთების გამოშვება. პატარა თეთრი ბურთები დაფარულია პლასტიკური მასალით, გული კი საცობის ნაფხვენებითაა ამოვსებული. ბურთები უკვე შეამოწმეს და მოიწონეს სპორტსმენებმა.

ესტონეთში ყოველი მეოთხე მცხოვრები ფიზკულტურელია. აქ ძალიან განვითარდა სპორტული საქონლის წარმოება. მაგალითად, საბჭოთა კავშირში დიდი პოპულარობით სარგებლობს „დინამოს“ ფაბრიკის პროდუქცია: სახელგანთქმული თხილამურები „ესტონია“, ჩოგბურთის ჩოგნები. ესტონეთის სპორტული საქონლის სამ მეოთხედზე მეტი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში იგზავნება.

ტალინი.

[illegible] მოგვითხრობს

კენჭისყრამ აარჩია

ათენი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის (მოსკოვი) წყალბურთელები ნახევარფინალურ მატჩებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე 19-21 ნოემბერს ჩაატარებენ იტალიის ქალაქ გენუაში. მათი მეტოქეები იქნებიან „ბარსელონა“ (ესპანეთი), „კოშიცე“ (ჩეხოსლოვაკია) და ადგილობრივი გუნდი „პრო რეკო“. ეს ცნობილი გახდა აქ მოწყობილი კენჭისყრის შემდეგ.

მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში ერთმანეთს შეხვდებიან საპატიო ნადავლის მფლობელები — იუგოსლავიის „მლადოსტის“ სპორტსმენები, აგრეთვე, „პოლიტექნიკი“ (ინგლისი), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) და „ჰილვერსუმი“ (ჰოლანდია). მათი შეხვედრები იუგოსლავიაში მოეწყობა.

კიდევ ოთხი მატჩი

7 და 8 ნოემბერს გაიმართა ჰოკეისტთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები, რომლებიც ასე დამთავრდა: „დინამო“ — „კრილია სოვეტოვი“ (ორივე — მოსკოვი) 4:3, „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „ტორპედო“ (გორკი) 5:4, ცსკა — „ლოკომოტივი“ (ორივე — მოსკოვი) 7:0, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ასკ (ლენინგრადი) 5:3.

რედაქტორი მ. ჭაჭაბაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 71)

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

„დინამო“ (თბილისი) —

„სპარტაკი“ (მოსკოვი)

11 ნოემბერი

სათადარიგო შემადგენლობანი

12 ნოემბერი

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 03180